პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 162 (12870)
ხუთშაბათი.
12
ივლისი,
1962 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ფასი 2 კაპ.

მოსკოვი. 1962 წლის 10 ივლისი. კრემლის ყრილობათა სასახლე. ნ. ს. ხრუშჩოვი გამოდის საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესზე.
ფოტო მ. სკურიხინისა და ა. ლიაპინისა.

დიდება მშვიდობას!

საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის მასალებს

ჩვენი კლანეტის გადასარჩენად

თავისუფლების მგზნებარე ტრიბუნმა, საქვეყნოდ სახელგანთქმულმა პოეტმა ნაზიმ ჰიქმეთმა მშვიდობის მსოფლიო კონგრესს მიუძღვნა მეტად საგულისხმო ლექსი „ციფრები ლაღდებენ“.

ამ ლექსში მან გამოხატა ყველაზე სანუკვარი ფიქრები და ოცნება, ნათელი იმედი და მისწრაფება, რომელსაც გულით აპპლაუზს ყველა დედა, ყველა შვილი, ყველა პატიოსანი ადამიანი ჩვენს პლანეტაზე — გზა გადაეკრას ომს, საბოლოოდ აღიკვეთოს მისი სახსენებელი.

სხვათა შორის, ამ ლექსში ჰიქმეთი ამბობს: არის ერთი ქვეყანა, რომლის მოსახლეობა ასცდა მილიონი ადამიანია. იმ ქვეყანაში, გვეუბნება პოეტი, არც მთებია, არც ტყეები, არც ველები, არც მდინარეები, იქ მარტო სიკვდილი და სიბნელეა, იქ მარტო ღორღი და ნაფოტი, ძვლები და ნაცარი ყრია, იქ მარტო ასცდა მილიონნი საფლავია იმათი, ვინც პირველ და მეორე მსოფლიო ომებში დაიღუნენ და დასახიჩრდნენ — აი რომელ ქვეყანაზე ლაპარაკობს პოეტი, ლაპარაკობს მკვდართა ქვეყანაზე, იმ ადამიანებზე, ვისაც სიცოცხლე მოუსწრაფეს პირველი და მეორე მსოფლიო ომების გამჩაღებლებმა.

გამოჩენილი პოეტი აქ მკითხველებს ხულ ახლო წარსულის საშინელ ამბებს ახსენებს — იმ ორმა ომმა, რომლებიც ხალხებს თავზე მოახვიეს მისმა დაუძინებელმა მტრებმა, თითქმის სამოცი მილიონი კაცი გამოასალმა სიცოცხლეს და ორმოცდაცხრა მილიონი დაასახიჩრა. მიუმატეთ ამას ობლები, მიუმატეთ დანგრეული ქალაქები, დამწვარი სოფლები...

ძარღვებში სისხლსა ყინავს ამ საშინელების, ამ ბარბაროსობის გახსენება, და აბა როგორ უნდა შეურიგდეს კაცობრიობის სინდისი იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეული წრეები ამაზე ათასგზის უფრო საშინელ განსაცდელს უმზადებენ კაცობრიობას!

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ახლანდელი იარაღი არაფრით არ შეედრება წინანდელს, ახლა მარტო ერთი წყალბადის ბომბს შეუძლია გაწყვიტოს უფრო მეტი ადამიანები, ვიდრე ისინი დახოცილან ყველა ომში კაცობრობის ისტორიის მთელ მანძილზე, მათ შორის პირველ და მეორე მსოფლიო ომებში. თერმოატომურ ომს შეუძლია ერთ უზარმაზარ სასაფლაოდ აქციოს მთელი დედამიწა.

და რომ ეს არ მოხდეს, საჭიროა ბრძოლა, საჭიროა ძალების დარაზმვა. და ეს დიდი ბრძოლა მშვიდობისათვის დაწყებულია, ახალი ომის წინააღმდეგ იმაღლებს ხმას დღეს მთელი მსოფლიო.

ხალხებს სურთ ზმამაღლა, ყველას გასაგონად განაცხადონ, რომ მათ ენატრებათ მშვიდობა, რომ ისინი აღშფოთებული არიან ომის იმ ისტერიით, ამერიკელი გენერლები რომ აჩაღებენ. ხალხებს მშვიდობა უნდათ და სწორედ ამ კეთილშობილური მიზნების გამოსახატავად წარმოგზავნეს მათ თავიანთი რჩეულნი მოსკოვში, რომელსაც მთელი მსოფლიოს ადამიანები სამართლიანად უწოდებენ მშვიდობის დიდ დედაქალაქს.

სრულიად ბუნებრივია, რომ არ არის მსოფლიოში არც ერთი კუთხე, არც ერთი ქვეყანა, საიდანაც ადამიანთა თვალი მიპყრობილი არ იყოს მოსკოვისაკენ, კრემლის ყრილობათა სახასლისაკენ. დიდ სოკიანო შუქურას ჰგავს ტრიბუნა ამ კონგრესისა, იმ შუქურას, რომლის გამამხნევებელი სხივები სწვდებიან ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეს, ყველგან მიაქვთ იმედი, რომ კაცობრობა შეძლებს თავიდან აიცილოს ახალი მსოფლიო ხანძარი.

ამ კონგრესზე თავი მოიყარეს მსოფლიოს ხალხთა ყველაზე საუკეთესო შვილებმა. აქ ერთიმეორის გვერდით სხედან ეკლესიის მსახურნი და ათეისტები, იდეალისტები და მატერიალისტები, ქრისტიანი დემოკრატები და ლეიბორისტები— ერთი სიტყვით, სრულიად სხვადასხვა რწმენისა და მიმართულების ადამიანები, მათ ერთი რამ აკავშირებთ: ფიქრი და ზრუნვა კაცობრიობის მომავლზე. ეს ადამიანები შეიკრიბნენ, რათა გადაწყვიტონ ჭეშმარიტად ისტორიული ამოცანა — ურთიერთდობისა და ურთიერთგაგების საფუძველზე შეებრძოლონ ატომური ომის საფრთხეს, გაკეთონ ყველაფერი, რათა წინ წასწიონ საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის საქმე, რათა გონებამ იზეიმოს გამარჯვება უგუნურებაზე, რათა ნათელმა სძლიოს ბნელს, კეთილმა — ბოროტს.

რა საშინელება არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას, მაგრამ ყველაფერს ჩრდილავს პერსპექტივა ატომური ომისა, რომელსაც პენტაგონი უმზადებს ხალხებს.

ერთი მეცნიერი ატომური ომის მსხვერპლთა რიცხვს 800 მილიონი კაცით განსაზღვრავს. აი რისთვის სინჯავენ და ამოწმებენ ამერიკელი გენერლები თავიანთ იარაღს, წამლავენ ატმოსფეროს წყნარ ოკეანეზე და ოცნებობენ, რომ მთელ პლანეტას რაკეტის სრბოლის სისწრაფით ცეცხლი წაუკიდონ და გადაბუგონ. ამერიკელი პოლიტიკოსები და ჟალმოსნები უკვე დიდი ხანია ხოტბას ასხამენ ამ ჯოჯოხეთურ გეგმებს და ემუქრებიან კაცობრობას, რომ ის დაიღუპება, თუ მათ ნებასურვილს ქედს არ მოუხრის.

მაგრამ მსოფლიოს ხალხები ყველაფერს გააკეთებენ, რომ რეაქციის ამ მოციქულებმა თავიანთი მუქარა ვერ შეასრულონ. მთელი კაცობრიობა ფეხზე დგას და შემართულია თავისი მომავლის დასაცავად. ის ყოველად ძლიერი და ყოველად შემძლებელია. ამიტომ არ დაანებებს არავის ეს ჯაყვაებული დედამიწა აქციოს ორმოდ, საფლავად, ჯურღმულად, არ დაანებებს არავის ქვებისა და ნაცრის გროვად აქციოს უმშვენიერესი ქალაქები — აკანონებ კაცობრობის ცივილიზაციისა, სადაც მთელი ძალით ჩქეფს სიცოცხლის წყარო და ბრწყინავს შუქი ადამიანის გენიისა.

დიახაც, მოწინავე კაცობრობა დგას მსოფლიოში ყველაზე მაღალ ტრიბუნაზე, მოსკოვის ტრიბუნაზე, საიდანაც ხალხები თავიანთ წარგზავნილთა მეშვეობით აცხადებენ, რომ დადგა დრო, როცა უნდა დამკვიდრდეს ქვეყნად გულითადი თანამშრომლობა, სულიერი ძმობა, რომ ხალხებს აღარსად ქედზე კოლონიური მონობის უღელი აღარ უნდა ედგას და ჯაჭვები აღარ უნდა ბორკავდეს.

წინ იცქირება კაცობრობა — განთადისაკენ, აღორძინებისაკენ, მზისკენ და მის მსგელლობას ვერაფერი ვერ შეაჩერებს.

მსოფლიო ლიტერატურის მრავალი გამოჩენილი დიდოსტატი ესწრება ამ კონგრესს, და ეს გასაგებიც არის. დღეს ყველა ქვეყანაში მწერალი მშვიდობასთვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში დგას. მხატვრული სიტყვა დიდი და ბუმბერაზული ძალაა, ვინაიდან მას შესწევს უნარი შეაკავშიროს და დარაზმოს ადამიანები კაცობრიობის ნათელი მომავლის დასაცავად. დიდი და კეთილშობილური მისია ეკისრება ამიტომ დღეს მწერლობას — და ყოველი მწერლის ვალია არ დაზოგოს ძალღონე ამ ამოცანის განსახორციელებლად.

ჩვენი უზარმაზარი პლანეტის, ლურჯი ცისა და ზურმუხტოვანი მინდვრების, ულამაზესი ქალაქებისა და სოფლების, ქვეყნად სიცოცხლის გადასარჩენად იბრძვის კაცობრობა და ის ამ ბრძოლას მოიგებს კიდევაც. ამჟამად, როგორც კონგრესის ტრიბუნიდან განაცხადა საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, „იქმნება რეალური პირობები იმისათვის, რომ თაობათა ოცნება მშვიდობაზე, ბოლოს, განხორციელდეს“.

მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდში დგას ჩვენი საბჭოთა სამშობლო, მას მტკიცედ უდგანან მხარში ხალხები მთელი დედამიწისა — აი ამას გვამცნობს მოსკოვის კონგრესი, ხალხთა ეს დიდებული საერთაშორისო ასამბლეა.

გიორგი ნატროშვილი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲕᲐᲛᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐᲡ!

ჯერ რადიოთი მოვისმინე, მერმე გაზეთში წავიკითხე საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის მგზნებარე სიტყვა საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესზე.

ჩვენ, მშრომელთა მრავალმილიონიან არმიის წარმომადგენლებს, რომლებიც მშვიდობიანი შრომით ვქმნით ახალ ყოფას და ახალ ცხოვრებას, აღგვაფრთოვანებს საბჭოთა სახელმწიფოს პოზიცია, მისი სამშვიდობო პოლიტიკა.

მაგრამ რისხვითა და აღშფოთებით აღიავსო ჩვენი გული, როცა რადიომ და გაზეთებმა გვაუწყეს ამერიკელ მეატომეთა ხაზარელი ბოროტმოქმედების ამბავი. შეერთებულმა შტატებმა უგულებელყვეს მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი და განახორციელეს უდიდესი სიმძლავრის ატომური აფეთქება დიდ სიმაღლეზე.

და ეს მოხდა იმ დღეს, როცა მოსკოვში გაიხსნა საყოველთაო განიარაღების და მშვიდობის მსოფლიო კონგრესი. ეს აქტი ღრმად სიმბოლურია: მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქიდან, სადაც ყველა მშვიდობისმოყვარე ძალთა ბუჯრი გასდა, მშვიდობისა და პროგრესის მომხრეთა მგზნებარე მოწოდება გაისმის, ხოლო ოკეანის გაღმიდან ამაზე უპასუხეს ომისა და კაცთმოძულეობის ხმით.

ძირს ომი, ვაშა მშვიდობას!

Თ. ᲞᲐᲞᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

...რომ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲫᲛᲣᲠᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲔᲡ!

მზე რომ ამოიწვერება და ბახმაროს მთებზე ღილის ნისლი აიკრიფება, მე უკვე ჩაის პლანტაციაში ვარ და ვკრეფ ლორთქო დუყებს. ყველგან მშვიდობიანი შრომაა გაჩაღებული.

მე რადიოთი მოვისმინე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა მშვიდობის დაცვის მსოფლიო კონგრესზე. ჩვენი მთავრობის მეთაურის ხმა მძლავრად გაისმის მთელ პლანეტაზე, რომ მშვიდობა იყოს ამ ქვეყნად, რომ ძმობა იყოს ყველა ხალხებს შორის.

დღენიადაგ ჩაის პლანტაციებს ვუვლი, ხალისიანი შრომის შემდეგ კი ოჯახში მშვიდად ვარ. ასევე ბედნიერად ცხოვრობენ ჩვენი სოფლის მშრომელები. კარგად მახსოვს ომის პერიოდი. ჩვენი სოფლიდან ზოგი მეომარი არ დაბრუნებულა, ზოგიც ხეიბარი დაუბრუნდა ოჯახს, ზოგი დედა კი დღესაც ელის შინ-ბოუსველელს. კარგად მახსოვს ომის საშინელება. ამიტომ მთელი მშვიდობისმოყვარე ხალხების ხმას ჩემს ხმას ვუერთებ და მოვითხოვთ შეწყდეს ატომური აფეთქებანი, ჩვენ არ გვინდა ომი!

დაე მშვიდობა იყოს, გვინდა მსოფლიო ვიხილოთ უიარაღოდ და ყველა ხალხი ძმურად ცხოვრობდეს დედამიწაზე.

Ტ. ᲩᲮᲐᲘᲫᲔ.

მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲦᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲖᲔ

10 ივლისს საღამოს მუშაობას შეუდგნენ საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის კომისიები: განიარაღება და მისი პოლიტიკური და ტექნიკური პრობლემები; განიარაღების ეკონომიური შედეგები; განიარაღება და ეროვნული დამოუკიდებლობა; განიარაღება და სიმართლის, კულტურის, მორალის პრობლემები.

პირველი სხდომები მიეძღვნა საორგანიზაციო და საპროცედურო საკითხებს — ხელმძღვანელი ორგანოების არჩევასა და ქვეკომისიების შექმნას. კომისიებში დაიწყო დისკუსია. (საკდესი).

მოსკოვი, 11 ივლისი. (საკდესი). დღეს დილიდანვე გრძელდება საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის კომისიების სხდომები. კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობს კომისია „განიარაღება და მისი პოლიტიკური და ტექნიკური პრობლემები“.

ზოგიერთი ტექნიკური საკითხის გადაჭრის შემდეგ ოთხ ქვეკომისიაში დაიწყო განხილვა პრობლემებისა: უატომო ზონებისა და კონტროლის ზონების შექმნა, ატომური გამოცდები და კოსმოსში თანამშრომლობა, უშიშროების საკითხები, განიარაღების პოლიტიკური და ტექნიკური ასპექტები.

აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკისა და ევროპის ქვეყნების ბევრმა დელეგატმა სურვილი გამოთქვა მონაწილეობა მიიღონ საერთო დისკუსიაში, რომელიც გაიმართება „განიარაღება და ეროვნული დამოუკიდებლობის“ კომისიაში. დღეს პირველი გამოვიდა გუსტა ფუჩიკოვა, ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის წარმომადგენელი.

კომისიის სხდომაზე, რომელიც განიხილავდა განიარაღების ეკონომიურ შედეგებს, დილით გამოვიდნენ ორატორი ფრანჩესკა პისტოლეზე (იტალია), ცნობილი ეკონომისტი იურგენ კუჩინსკი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

კომისიაში „განიარაღება და სამართლის, კულტურის, მორალის და სხვ. პრობლემები“ ამ პრობლემებს განიხილავენ ქვეკომისიები.

ᲩᲐᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲘᲡ ᲢᲔᲛᲐᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲓᲔᲡ

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს კოლეგიამ განიხილა რესპუბლიკაში ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის მიმდინარეობის საკითხი და აღნიშნა, რომ მიუხედავად ხელსაყრელი ამინდისა, ზოგი ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ივლისის დამდეგს შენელდა ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი. თუ გასული წლის ივლისის პირველ 8 დღეში მოკრეფილი იყო 12.566 ტონა ჩაის ფოთოლი, წელს ამავე პერიოდში მოიკრიფა მხოლოდ 11.028 ტონა — 1.548 ტონით ნაკლები. ეს გამოწვეულია იმით, რომ ზოგი ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიეცნენ თვითდამშვიდებას მაისოვნისში მოპოვებული წარმატების შემდეგ. ჩაის ფოთლის კრეფაში განსაკუთრებით ჩამორჩნენ გუდაუთის, სოხუმისა და ცხაკაიას ტერატორიული საწარმოო სამმართველოები, სადაც ივლისის გეგმა 5 ივლისს მდგომარეობით შესრულებული იყო მხოლოდ 9-18 პროცენტით, მაშინ როდესაც საერთოდ რესპუბლიკაში გეგმა 16 პროცენტით იყო შესრულებული.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს კოლეგიამ დასახა ღონისძიებანი ჩაის ფოთლის კრეფაში ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების უფროსებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებსა და კოლმეურნეობათა გამგეობებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჩაის ფოთლის უდანაკარგოდ კრეფა და ივლისის გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

მათ დაევალათ ყოველდღიურად გამოიყვანონ სამუშაოდ იმდენი მუშახელი, რამდენიც საჭიროა შემოსული ჩაის ფოთლის მთლიანად და უდანაკარგოდ აღებისათვის ყველა მეურნეობაში;

მიზანშეწონილადაა მიჩნეული იმ კოლმეურნეობებიდან, რომლებიც მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებით დატვირთული არ არიან, მუშახელის ორგანიზებულად გადაყვანა მეჩაიეობის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რომლებიც უზრუნველყოფილი არ არიან მუშახელით;

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების უფროსებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებსა და კოლმეურნეობათა გამგეობებს წინადადება მიეცათ არ დაუშვან ჩაის ფოთლის გაუხეშება და შემოუსვლელი ფოთლის კრეფა, რაც იწვევს დანაკარგებსა და ხარისხის გაუარესებას; მათ ფართოდ უნდა დანერგონ ბრიგადებსა და რგოლებში მოწინავე მეჩაიეთა გამოცდილება ჩაის ფოთლის უდანაკარგოდ კრეფის და უხეი მოსავლის მოლების საქმეში.

ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესაბამისად ახალციხის, თეთრი წყაროს, ბოლნისის და ზუტაფონის ტერატორიული საწარმოო სამმართველოების უფროსებს დაევალათ 5 დღის ვადაში უზრუნველყონ ჩაის საბჭოთა მეურნეობებში მუშახელის გაგზავნა საწარმოო სამმართველოში შემავალი რაიონებიდან.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კოლეგია მოითხოვს ტერატორიულ-საწარმოო სამმართველოებისაგან, კოლმეურნეობათა გამგეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებისაგან უახლოეს დღეებში აღმოფხვრან ჩამორჩენა ჩაის ფოთლის კრეფაში, ისე წარმართონ შემდგომი მუშაობა, რომ წარმატებით შესრულდეს რესპუბლიკის მეჩაიეთა მიერ ნაკისრი ვალდებულება.

(საკდესი).

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „მჰირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „მჰირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „მჰირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. აბუსელიძეს სალიე ველოდის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ შუახევის რაიონის სოფელი სამოლეთი.
2. ალიევას ბულგეიზ მუსეიბ ყიზის— დიასახლისს, სოფელი გარდაბანი, ქალაქი თბილისი.
3. არიშინას ანა მიხეილის ასულს — კოლმეურნეობა „ულიანოვკის“ კოლმეურნეს, სიღნაღის რაიონი.
4. ბეჟანიძეს მუნთა ემინახმედის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ შუახევის რაიონის სოფელი სამოლეთი.
5. კალაძეს ეხსან ემინის ასულს — მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, აჭარის ასსრ შუახევის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. ᲒᲘᲝᲠ�გᲐᲫᲔ.

მოსკოვი, კრემლი.
1962 წლის 19 ივნისი.

ᲛᲔᲪᲝᲜᲒᲠᲝᲒᲐ ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲓᲐ ᲣᲠᲚᲕᲔᲕᲘᲐ

მოსკოვი, 11 ივლისი. (საკდესი). ერთვნული დღესასწაული — მონღოლეთის სახალხო რევოლუციის 41-ე წლისთავის გამო ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ლ. ი. ბრეჟნევმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს ამხანაგებს ი. ცედენბალსა და ჟ. სამბუს. ისინი გუმბურვალედ ულოცავენ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, მოძმე მონღოლ ხალხს და უსურვებენ ახალ წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში, მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისათვის ბრძოლაში.

• • •

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს პ. შაგდარსურენს.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

10 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ მოსკოვში გაიხსნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პირველი სხდომა, რომელიც შეიქმნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XVI (რიგგარეშე) სესიის გადწყვეტილებით.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: *თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ვ. გეგეშიძე მუშებს აცნობს საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესზე ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას.* ფოტო ვ. გინზბურგისა.

ᲣᲖᲣᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲚᲣᲚᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ნ. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲘᲚᲣᲖᲘᲔᲑᲘ ᲡᲐᲨᲘᲨᲘᲐ

დელი, 11 ივლისი. (საკდესი). ინდოეთის გაზეთები ბეჭდავენ მსოფლიო კონგრესზე საბჭოთა მთავრობის მეთაურის სიტყვის დაწვრილებით შინაარსს, ხაზს უსვამენ მის სიტყვებს, რომ საბჭოთა კავშირი „იცავდა, იცავს და დაიცავს მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპებს“.

გაზეთები ფართოდ ეხმაურებიან საბჭოთა კავშირის პოზიციას საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხში, რომელიც ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სიტყვაში. პრესის ცნობებში დიდი ადგილი უკავია ნ. ს. ხრუშჩოვის იმ სიტყვებს, რომ შეერთებული შტატები ასორციელებენ პოლიტიკას, რომლის მიზანია ომის გაჩაღება და გამალებული შეიარაღება.

გაზეთი „სტეიტსმენი“ აღნიშნავს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი გაფრთხილებას იძლევა ომის საფრთხის გამო, რადგან დასავლეთის აგრესიული ძალები ემზადებიან ომის ასატეხად. ამასთან დაკავშირებით გაზეთები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ საბჭოთა მთავრობის მეთაურის განცხადებას იმის გამო, თითქოს ამერიკის შეერთებულ შტატებს სამხედრო უპირატესობა ჰქონდეთ საბჭოთა კავშირთან შედარებით. ამერიკის შეერთებული შტატების ილუზიები თავიანთი სამხედრო უპირატესობის შესახებ სასაცილოა, წერს სათაურში „ინდიან ექსპრესი“ და აღნიშნავს, რომ ასეთი ილუზიები სერიოზულ საფრთხეს უქმნიან მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲗᲔᲛᲐ

ვენა, 11 ივლისი. (საკდესი). ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მოსკოვის მსოფლიო კონგრესზე ვენის დღევანდელი გაზეთების ცენტრალური თემაა. გაზეთები პირველ გვერდზე ბეჭდავენ საბჭოთა მთავრობის მეთაურის სიტყვის შინაარსს და განსაკუთრებით გამოჰყოფენ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს დასავლეთ ბერლინის მდგომარეობის ნორმალიზაციის შესახებ. „ნოიეს ფუტერპრეზი“ ხაზს უსვამს წინადადებას იმის შესახებ, რომ გაიყვანონ დასავლეთ ბერლინიდან დასავლეთის სახელმწიფოთა საოკუპაციო ჯარები და შეცვალონ ისინი ქვედანაყოფებით, რომლებიც იქნებიან იქ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით.

გაერთიანებისა და მშვიდობის

ჯონ ბერნალის მოხსენება

საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის 9 ივლისის დღის სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა კონგრესის საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტ-აღმასრულებელი პროფესორი **ჯონ ბერნალი**. თავისი მოხსენების დასაწყისში იგი კონგრესის ყველა მონაწილის სახელით მადლობას უძღვნის მშვიდობის საბჭოთა მომხრეებს, მოსკოვის მცხოვრებლებს, ყველა საბჭოთა ადამიანს იმისათვის, რომ მათ შესაძლებლობა მოგვცეს ამ დარბაზში შეგკრებილიყავითო, მადლობას უძღვნის გულთბილი მიღებისათვის.

ჩვენი შეხვედრა აქ, ამბობს პროფესორი ბერნალი, ისტორიულია. არასოდეს არ შეკრებილა წინათ ასე ბევრი ადამიანი ასე ბევრი კვეყნიდან, ასე მრავალგვარი პროფესიის ადამიანები — ქალები და მამაკაცები, ახალგაზრდები და ბოხუცნი დედამიწის ყოველი კუთხიდან.

რამ მოგვიყვანა აქ ჩვენ, ათეულ მილიონობით ადამიანის წარმომადგენელნი? — კითხულობს ორატორი. იგი ლაპარაკობს საფრთხეზე, რომელიც დაკავშირებულია მზარდ გამალებულ შეიარაღებასთან, ატომური იარაღის გამოცდასთან, ატომური ომის წარმოშობის შედეგივ მუქარასთან. ეს საფრთხე ახალი რიდია, აცსდგეს მომხსენებელი, მაგრამ იგი ძლიერდება; და, საბედნიეროდ, სულ უფრო მეტ ადამიანს აქვს ეს შეგნებული. ისინი მრავალ კვეყანაში ყოველ ღონეს ხმაობენ, რათა შეცვალონ ეს ტენდენცია და უზრუნველყონ შემობრუნება განიარაღებისა და მშვიდობისაკენ. კონგრესის მოწვევა ამკიდან გამოწვეულია იმით, რომ მოლაპარაკებამ განიარაღების შესახებ კრიზისულ სტადიას მიაღწია. განიარაღების კომიტეტი, რომელის შემადგენლობა ახლა უფრო თანაბარია, ვიდრე ოდესმე წარსულში, უკვე რამდენიმე თვეა მუშაობს, მაგრამ ვერ მიაღწია შესაძლებელ პროგრესს. თუმცა არის თანხმობა საყოველთაო და სრული განიარაღების პრინციპის, როგორც მიზნის გამო, და თუმცა ბევრი ღონისძიება ამ მიზნის მისაღწევად უკვე არ წარმოადგენს დგომის საგნს, მაინც ზოგიერთი დიდი სიძნელე — ისეთი, როგორიც არის ინსპექციისა და ვადების საკითხი, — ჯერ კიდევ რჩება ღა, ჩანს, როგორც ყოველთვის, სერიოზულ დაბრკოლებას ქმნის. როგორ შეიძლება ატომიფიზრათ ეს დაბრკოლებანი? ჩვენ ვიცით, რომ ბევრი მთავრობა თავისი ძალღონის შესაბამისად ყოველ ღონეს ხმაობს, რათა ატომფიზრას ისინი. მაგრამ ამას ხელს უშლიან ეროვნული უშიშროების ყალბი მოსაზრებანი.

სწორედ ამ შემთხვევაში საჭიროა მობილიზება ყველა კვეყნის მოქალაქეთა რაც შეიძლება მეტი აქტივობისა, რათა მთავრობებე ზეგავლენის გზით უზრუნველყონ ისეთი მდგომარეობა, როცა მოლაპარაკება განიარაღების შესახებ დაიწყებოდა ანალი სულისკვეთებით და მას მოჰყვებოდა ნამდვილი და სწრაფი განიარაღება. ეს პროცესი უკვე აქტიურად მიმდინარეობს, მაგრამ ჯერ მხოლოდ რამდენიმე კვეყანაში; წარმოიშვა ბევრი ახალი მოძრაობა მშვიდობისათვის, „ზოგიერთი მათგანი ფართო, აქტიური და ეარგად ორგანიზებული, სხვები, თუმცა არც ისე ფართოა, მაგრამ მრავალრიცხოვანია, გამსჭვალულია ენთუზიაზმით, სწრაფად იზრდება და ერიელდება.

პროფესორი ბერნალი აღნიშნავს, რომ ეს კონგრესი საშუალებას გვაძლევს ნამდვილად სერიოზულად განვიხილოთ განიარაღების სხვადასხვა პრობლემა: სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიური. აქ მსოფლიოს სხვადასხვა კვეყნისა და რაიონის წარმომადგენლებს შეუძლიათ ერთმანეთს გაუზიარონ ინფორმაცია და მიაღწიონ ერთ გაგებას, რომელიც შემდეგში შეიძლება მოქმედების საფუძველი გახდეს. ეს მით უფრო სასარგებლო იქნება, რომ კონგრესზე პირველად არის ერთ-ერთი დიდი ატომური სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების მრავალრიცხოვანი დელეგაცია.

რა თქმა უნდა, უთანხმოება და ეჭვი არის სხვადასხვა კვეყნის ან ადამიანთა შორისაც კი, რომლებიც მშვიდობისათვის იბრძვიან. უთანხმოება საკმაოდ არის ცალკე აღებულ კვეყნებშიც. ჩვენმა შეხვედრამ ხელი უნდა შეუწყოს ამ უთანხმოების აღმოფხვრას. მშვიდობისათვის მოძრაობაში მეტად ძლიერია ციკი ომის სულისკვეთება, რასაც თან ახლავს პროგრესულ მოღვაწეთა დევნა და ცილისწამება. საკითხი ის კი არ არის, მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა ამა თუ იმ კვეყანაში მხარს უჭერს თავისი მთავრობის პოლიტიკას თუ მის წინააღმდეგ გამოდის. საკითხი უფრო ის არის, ეხმაროება თვით ეს პოლიტიკა განიარაღებასა და მშვიდობას, თუ ხელს უშლის მათ. ჩვენ უნდა ვეცადოთ სწორედ ასეთი პოლიტიკა შეკიმუშაოთ, თუნდაც ზოგადად, ჩვენს კონგრესზე.

ეს არ უნდა იყოს განუხორციელებელი ამოცანა, რადგან განსხვავება განიარაღების ძირითად გეგმებს შორის, რომლებიც წამოაყენეს მთავარმა ატომურმა სახელმწიფოებმა — საბჭოთა კავშირმა და შეერთებულმა შტატებმა, — უკვე მნიშვნელოვნად შემცირდა მოლაპარაკების საშუალებით. თუ იქნება კეთილი ნება და პატიოსნება, ეს მოლაპარაკება შეიძლება დამთავრდეს ურთიერთმისაღები კომპრომისით, მაგალითად, ისეთით, როგორიც წამოაყენეს ამას წინათ მრგვალი მაგიდის კონფერენციაზე ბრიუსელში. მისი არსი ის არის, რომ მიღებულ იქნას პრინციპები ამერიკის შეერთებული შტატების და სსრ კავშირის გასული წლის სექტემბრის ერთობლივი დეკლარაციისა განიარაღების შესახებ: პირველი — ნაოლად გამოცხადება მიზნისა — მხოლოდ საყოველთაო და სრული განიარაღება, რომელიც ხარაკიდდება შეთანხმებული ეტაპებით. მეორე — თვითეულ ეტაპზე მოლაპარაკების მონაწილე არც ერთმა და არც მეორე მხარემ არ უნდა მოიპოვოს არავითარი სტრატეგიული უპირატესობა. თითქოს გადაულახავი და წინასწარი განზრახვით გაბვიადებული საკითხი ინსპექციისა და კონტროლის შესახებ წარმოადგენს სიძნელეს, რომელიც არცთუ ისე დიდია, როგორც სურთ მოგვიჩვენონ. აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული ტემპებზე, რომლებითაც განხორციელდება განიარაღება. სწრაფი განიარაღება დიდი რაოდენობით მოსპობილი იარაღის ინსპექციის პირობებში ყოველივე დანარჩენის ინსპექციის უფრო ადვილებს, ვიდრე ნელი განიარაღების დროს, რომელიც თითქმის განუსაზღვრელად დიდი ხნით აჭიანურებს ეჭვის პერიოდს და ბოლოდე რჩება ატომური ჩარაგების საფრთხე. სწორედ ამით ყველაზე შესაძრნევად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან საბჭოთა კავშირისა და ამერიკის გეგმები. მაგრამ აქაც, როგორც ბრიუსელის წინადადებები გვიჩვენებს, შესაძლებელია რეალური კომპრომისი.

შემდეგ პროფესორი ბერნალი აღნიშნავს, რომ იარაღის ფაქტიურ მოსპობასთან მეტად მჭიდროდ დაკავშირებულია ბაზების ევაკუაციისა და უკანმო ზონების შექმნის საკითხი. ჩვენ აქ შეიძლებეთ არა როგორც სამხედრო სპეციალისტები ან დიპლომატები, ამბობს ორატორი. ჩვენი ამოცანაა, როგორც ქალების და მამაკაცებისა, რომლებიც ვცხოვრობთ მსოფლიოში, რომელსაც საფრთხე მოელის. — მოვითხოვოთ, რომ ასეთი კომპრომისი გამორნახოს და ამასთან მალე. ეს განსაკუთრებით ეხება გამალებული ატომური შეიარაღების ერთ ასპექტს, რომელიც ყველაზე მეტ დაგმობასა და შეშფოთებას იწვევს მთელ მსოფლიოში, სახელდობრ — ატომური იარაღის გამოცდების განგრძობას.

გამმარტავს რა ამ პრობლემას, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ჟენევის კომიტეტში გამოცდების საკითხზე ნეიტრალურმა სახელმწიფოებმა წამოაყენეს კომპრომისი — ადგილებზე ინსპექციების მინიმუმამდე შემცირება და მათი განხორციელება ნეიტრალური კვეყნების მიერ. ეს წინადადება მიიღო საბჭოთა კავშირმა როგორც საფუძველი დისკუსიისათვის, მაგრამ უარყვეს შეერთებულმა შტატებმა. იგი კვლავ ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა იმისათვის, რომ უზრუნველყოთ გამოცდების შეწყვეტა.

მაგრამ პროფესორმა ბერნალმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრობლემას მტკიცედ გადაწყვეტს მხოლოდ სრული განიარაღება. კონგრესმა უნდა განიხილოს არა მარტო განიარაღებისა და გამოცდების აკრძალვის მეთოდები, არამედ აგრეთვე დაძაბულობის მიზეზები, რომლებიც იწვევენ გამალებულ შეიარაღებას და ქმნიან საფრთხეს, რომ ყოველ მომენტში შეიძლება გაჩაღდეს ატომური ომი.

ჩვენ უნდა განვიხილოთ, აცსდგეს მომხსენებელი, გერმანიის საკითხი, განსაკუთრებით ბერლინის საკითხი და ამასთან დაკავშირებული ევროპის უშიშროების, გერმანიშორისი და ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონების საკითხი. განხილულ უნდა იქნას ეგიპტასა და სხვა რაიონებში დაძაბულობის შენელების ყველა საშუალება, და ყველა კონსტრუქციულ გეგმას ამ დარგში, რომლებიც შეიძლება შეიმუშაოს ჩვენმა კონგრესმა. უნდა მოპოვეს მოქმედება.

ჯონ ბერნალის მიაჩნია, რომ ეს დიადი კონგრესი მიძღვნილია არა იმდენად განხილვისადმი — რისთვისაც საკმარისი იქნებოდა გაცილებით უფრო პატარა კრება, — **არამედ მოქმედებისადმი.** მოქმედებამ განიარაღების ინტერესებისათვის შეიძლება მიიღოს და კიდევაც უნდა მიიღოს სხვადასხვა ფორმა, რომლებიც შეესაბამება სხვადასხვა ტრადიციას. ყოველგვარი თავსმოხეული ერთფეროვნება მხოლოდ ზიანს მოიტანდა. მიუხედავად ამისა, ამ სხვადასხვა მოქმედებას იქნება ზოგიერთი საერთო ნიშნები, რომლებიც შეიძლება ერთი კვეყნიდან მეორეში გადავიდეს.

— ამ რამდენიმე დღის განმავლობაში, — აღნიშნავს მომხსენებელი, — ჩვენ უნდა ვისწავლოთ ერთიმეორეს — სხვადასხვა კვეყნის ადამიანებმა, რომლებიც სხვადასხვა პარტიას ეკუთვნიან და სხვადასხვა შეხედულებები გვაქვს. ჩვენი პირადი გრძნობები უნდა დავეშორნილოთ საერთო მიზნის მიღწევას. ტელის მოსვლა და ჩხუბისათვის სიბაბის გამოსახვა ძნელი როდია, მაგრამ ჩვენ თავი უნდა შევიკავოთ, რამდენადაც შეგვიძლია, იმიტომ რომ ჩვენი მიზნის მიღწევისათვის უნდა გადავჭრათ რეალური და არსებითი პრობლემები და უთანხმოებანი.

ზოგი მხარს უჭერს ერთ მხარეს ცივ ომში, სხვები — მოწინააღმდეგე მხარეს, ზოგნი ფიქრობენ, რომ ორივე მხარე თანაბრად დამნაშავეა. ჩვენთვის არ არის საჭირო გამოვიტანოთ დასკვნები ამ საკითხებზე. ჩვენ უნდა გამოვნახოთ გზა იმისათვის, რომ ხელი შეეწყოთ განიარაღებისა და მშვიდობის საქმის, გამოვნახოთ გზა, რომელიც არ ეწინააღმდეგება ჩვენს შეხედულებებს.

ჯ. ბერნალის აზრით გადაუდებელია განიარაღების ეკონომიური ასპექტები. ეს სხვადასხვანაირად ეხება სხვადასხვა ქვეყნებს. მათი სიმდიდრისა და მათი ეკონომიური სისტემის შესაბამისად. და ამ საკითხში ისევე, როგორც თვით განიარაღებაში, პრინციპულად მიღწეულია არც თუ ცუდი თანხმობა, როგორც ამას მოწმობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს მოხსენება სათაურით „განიარაღების ეკონომიური და სოციალური შედეგები". ხოლო პრაქტიკულად არის უთანხმოებანი. მთავარი სიძნელეა ის, რომ უფრო მდიდარ კაპიტალისტურ ქვეყნებში იარაღის წარმოება კაპიტალდაბანდებათა ყველაზე მომგებიანი, ყველაზე სწრაფად მზარდი, ხოლო ამ ბოლო დროს ყველაზე უსაშიშარი ფორმაა.

ამასთან დაკავშირებით მომხსენებელი განმარტავს, თუ რა ძნელია იმის მიღწევა, რომ ორგანიზებულმა მუშებმაც კი, განსაკუთრებით ისეთ კვეყნებში, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, მოითხოვონ განიარაღება, რაზედაც მათ ეუბნებიან, რომ ამან შეიძლება სამუშაო დაკარგვინოს მათ. ეს ყველაზე ყალბი არგუმენტია, აღნიშნავს პროფესორი ბერნალი, მაგრამ ასეთ კვეყნებში ჩვენი ამოცანაა ვისწავლოთ ამ არგუმენტის გაბათილება.

სოციალისტურ კვეყნებში, როგორც ჩანს, ამგვარი სიძნელეები არ არის. იქ, პირიქით, განიარაღება დიდი შვება იქნებოდა და მას მაშინვე მოჰყვებოდა შრომის ნაყოფიერების გადიდება და ცხოვრების დონის ამაღლება.

ცივი ომისა და შეიარაღების ტვირთი, ამბობს შემდეგ მომხსენებელი, ჯერ კიდევ მეტად მძიმეა. იმ კვეყნების მთელ პოლიტიკურ განვითარებას, რომლებმაც ამ ცოტა ხნის წინათ მიიღეს დამოუკიდებლობა, აგრეთვე აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის სხვა კვეყნების მთელ პოლიტიკურ განვითარებას საფრთხე მოელის იმის გამო, რომ მათ ამამენ ცივი ომის ორბიტაში და სამხედრო კავშირებში, როგორც ამას დამაჯერებლად მოწმობს კონგოს, ლაოსის, კორეის, ვიეტნამისა და კუბის ტრაგიკული ამბები. ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობის საკითხების განხილვა უნდა დაკავშირებულ იქნეს ამ პრობლემებთან. ეს უფრო ცხადყოფთ, თუ რა მჭიდრო კავშირია განიარაღებასა და კოლონიალიზმის ლიკვიდაციას შორის.

თავისი გამოსვლის დასკვნითს ნაწილში პროფესორი ჯ. ბერნალი ამბობს, რომ მშვიდობისადმი მისწრაფებამ ახალ მასშტაბს მიაღწია ატომური ბომბების ერაში. ჩვენ ახლა ვიცით, აცსდგეს იგი, რომ საშინელებანი, რომელთა წარმოდგენას ძლივს ვბედავთ, თუმცა დაზარალებულნი, რომლებიც გადარჩნენ, ჩვენს შორის იმყოფებიან, ოდნავადაც ვერ შედერება იმის ინტენსივობას ან მასშტაბს, რაც მოჰყვება ატომურ ომს, რომლისთვისაც იარაღი უკვე შექმნილია, მზად არის მოქმედებისათვის და შიცდომითაც კი შეიძლება გამოიყენონ. ეს ომი არ დაინყობს არც მტერს, არც ნეიტრალს. ფალუბლთა და დაჭრილთა რიცხვი ამ ომში არა. გეგმონია კაცობრიობის მესაძეფზე ნაკლები იქნს. ხოლო შემდგომი გაჩანაგება მეტად არასაიმედოდ გახდის ცოცხლად დარჩენილთა ცხოვრებას. ვინმე კიდევაც რომ გადარჩეს, ამ ადამიანთა ხელიდან იქნება სუფეფნების განმავლობაში მემკვიდრეობითი მეუოასუსტობა და სიმაზინჯე.

ეს პერსპექტივა ისეთი რამეა, რაც კაცობრიობას ჯერ არ განუცდია, — რეალური საფრთხე განსაკუთრებით საშინელი და უაზრო მთელი კაცობრიობისათვის. იგი აბუჩად იგდებს მორალს, რელიგიას, სოციალურ ინსტიტუტებსა და იდეებს. ზოგიერთნი გვეუბნებიან, რომ უნდა შეეგეჩიოთ „ბომბთან ცხოვრებას" და მოვემზადოთ იმისათვის, რომ შეეფერგდეთ ისეთ საშინელებებს იმ ფასეულობათა დასაცავად, რომლებიც მოისპობა, თუ ომი გაჩაღდა. ისინი, ყოველ შემთხვევაში. სამოდამოდ სახელგატეხილი არიან იმათ მხრივ, ვინც ატომური ომისათვის ემზადება და თანახმაა ამ ომზე. ზნეობა, რომელიც თანახმაა და მზად არის ცოცხლად დაწვას ქალები. მამაკაცები და ბავშვები, ხოლო ისინი, ვინც გადარჩება, მოწამლოს ნელა მოკვდეი, მაგრამ მომაკვდინებელი რადიოაქტიური შხამებით, იმდენად შორს წავიდა თავის უადამიანობით, რომ არც კია ღირსი საერთოდ ზნეობა ვუწოდოთ.

ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობა, — ამბობს ორატორი, — ეეკუთვნით ნეიტრალურ ქვეყნებს, რომელთა ნდობაც აქვთ ერთმანეთს დაპირისპირებული მსოფლიო ბანაკების წევრებს". მხოლოდ ატომური იარაღის და დიდ მანძილზე მისი მიტანის ყველა საშუალების სრული მოსპობა, და საბოლოო ანგარიშით ხელოვან საყოველთაო და სრული განიარაღება ალმოფხვრის დამღუპველი ომის წარმოშობის საფრთხეს, ხაზგასმით აღნიშნავს ბერტრან რასელი.

აქ წარმოდგენილია, ამბობს მწერალი **ჟაკ მადოლი** (საფრანგეთი), საფრანგეთის ყველა ოლქი, საზოგადოებრივი აზრის ყველაზე ფართო ფენები. ფრანგი ხალხი დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს ბრძოლას, რომელსაც კაცობრიობა აწარმოებს მშვიდობისათვის, და უაღრესად ფართო მონაწილეობას იღებს ამ ბრძოლაში. თუ არ იქნება მიღწეული საყოველთაო და სრული განიარაღება, კაცობრიობა ჩაბნელი ალმოჩნდება უპრეცედენტო კატასტროფაში.

ხალხთა საერთაშორისო მიუხედავად, მოლაპარაკება განიარაღების შესახებ, აღნიშნავს ორატორი, წინ არ მიდის. მაგრამ თუ 20 წლის წინათ განიარაღება მხოლოდ სურვილი იყო, დღეს ეს საარსებო აუცილებლობაა. საკითხი ასე დგას: ან მოლაპარაკების წარმატება, ან თანამედროვე ცივილიზაციის დაღუპვა. განიარაღების საკითხი, ხაზს უსვამს მადოლი, უნდა გადაიჭრას მაქსიმალური ურთიერთგაგების პირობებში.

ჩვენ მიგვაჩნია, განაგრძო ორატორმა, რომ კონტროლი აუცილებელია. მაგრამ თუ არ არის განიარაღება უკონტროლოდ, არ შეიძლება იყოს კონტროლიც განუიარაღებლად. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ გამოვნახოთ კონტროლის ფორმა, რომელიც ეფექტიანი იქნება, ერთი მხრივ, და მისაღები, მეორე მხრივ. ხელი უნდა შევეწყოთ შეთანხმებას არა მარტო მთავრობათა დონეზე, არამედ ხალხთა დონეზეც.

ერთ-ერთი პირველი ღონისძიება, რომელიც უნდა განხორციელდეს განიარაღების გზაზე, ეს არის ატომური იარაღის გამოცდების აბსოლუტური აკრძალვა ყველა კვეყანაში, მიაჩნია ორატორს.

— მინდა მთელი ძალით გავუსვა ხაზი, — ამბობს ჟაკ მადოლი, — რომ განიარაღებისა და მშვიდობის ყოველი პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, — ოღონდ ეს ორგანიზაციას, — ოღონდ ეს ორგანიზაციას, — ოღონდ ეს

მოსკოვის მსოფლიო კონგრესზე

(დასასრული)

— ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა, — თქვა ნ. ა. დიგაიმ, — რომ აქ შეიკრიბნენ კეთილი ნების ადამიანები, რომელნიც წარმოადგენენ ყველა კონტინენტების 118 ქვეყანას, მიუხედავად ასაკის ფერისა და სოციალურ-ეკონომიკური შეხედულებებისა და სოციალური კუთვნილებისა. ეს იმას მოწმობს, რომ ყველა ჩვენგანს აკავშირებს ერთი მისწრაფება—დავიცვათ მშვიდობა. ჩვენს მშვენიერ დედამიწაზე.

ჩვენს დროში, განაგრძობს ორატორი, მოსკოვისა და ნიუ-იორკის, ლონდონისა და პარიზის, ტოკიოსა და დელის ბედი მჭიდროდ არის დაკავშირებული: ატომური კატასტროფა, თუ იმი მოხდა, ემუქრება ჩვენი ქალაქების არსებობას. ათეული და ასეული მილიონობით ადამიანს, რომლებმაც შექმნეს უდიდესი მეცნიერული და კულტურული ფასეულობანი.

ნ. ა. დიგაი შეეხო საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას და კერძოდ განაცხადა, რომ მოსკოვში ყოველდღიურად შენდება 350 ახალი ბინა. მხოლოდ გასულ წელს მოსკოველებმა ნახევარი მილიონი ახალი კეთილმოწყობილი ბინა მიიღეს.

ნ. ა. დიგაიმ მოსკოველების სახელით გამოთქვა იმედი, რომ მსოფლიო კონგრესი კიდევ უფრო მჭიდროდ შეაკავშირებს მშვიდობისათვის მებრძოლთა რიგებს. „თქვენი მგზნებარე სურვილი დაიცვათ მშვიდობა, — ამბობს დიგაი, — თქვენი ვაჟკაცური ბრძოლა მშვიდობის საქმისათვის, თქვენი მტკიცე რწმენა უკეთესი მერმისისა გვინერგავს იმედს, რომ ფრმოატომური ბომბების ვერავითარი ძალა ვერ შეაფერხებს და მით უმეტეს ვერ შეაჩერებს ისტორიის წინსვლას“.

— ჩვენი მიზანი, ისევე როგორც სხვა კონტინენტების ხალხთა მიზანი მშვიდობაა, — განაცხადა კონგრესის ტრიბუნიდან ბრაზილიის წარმომადგენელმა მწერალმა **ალვარო ლინსმა.**

ჩემი ქვეყნის კონსტიტუცია, განაგრძობს ორატორი, კრძალავს ყოველგვარი ომის წარმოებასა და პროპაგანდას. ამ რამდენიმე ომს, რომლებიც ყოფილა ლათინური ამერიკის ქვეყნებში, იწყებდა ან პროვოკაციულად იწვევდა წინაა ინგლისის, ხოლო შემდეგ ჩრდილოეთ ამერიკის იმპერიალისტმა. და ახლა, როცა ვამბობთ. ბრაზილიაში საკმარისი დემოკრატია არ არსებობს, ვიცით, რომ ამის მიზეზია ამერიკის შეერთებული შტატების. ნიგაკვლენა.

თავისი გამოსვლის დასასრულს ლინსი მხურვალედ მიესალმა და მადლობა უძღვნა საბჭოთა მთავრობასა და საბჭოთა ხალხს, რომლებმაც ესოდენ გულწრფელად და გულითადად მიიღეს კონგრესზე ჩამოსული მსოფლიოს ასზე მეტი ქვეყნის წარმომგზავნელები.

დელეგატებისა და სტუმრების ტაშის გრიალში ლინსმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი თავისი ორმოცზე მეტი წლის ისტორიის განმავლობაში ყოველთვის მეთაურობდა სოციალიზმისა და მშვიდობისათვის ბრძოლას.

„მოსკოვი ყველა ხალხისათვის მშვიდობის დედაქალაქი“, — ამბობს ბრაზილიის დელეგატი.

პოლონელი ხალხის სახელით პროფესორმა **სტანისლავ კულჩინსკიმ** მხურვალედ დაუჭირა მხარი საყოველთაო და სრული განიარაღების გეგმას, რომელიც წამოაყენა საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა გაერთიანებული ტერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-15 სესიაზე, ხოლო შემდეგ საბჭოთა დელეგაციამ წარუდგინა 18 სახელმწიფოს კომიტეტს ჟენევაში. ამ გეგმის რეალიზაცია, — განაცხადა კულჩინსკიმ, — გაათავისუფლებს ოდროის მატერიალურ რესურსებს, რომლებიც შეიძლება მოხმარდეს ყველა ხალხის კეთილდღეობას.

პროფესორი კულჩინსკი შეეხო ატომური იარაღის გამოცდებს, რომლებსაც ამჟამად ახორციელებენ ამერიკის შეერთებული შტატები. და აღნიშნა, რომ „ამ გამოცდამ ჩვენ მიგვაახლოვა ცივილიზაციის ყოფნა-არყოფნის ზღვარს“. ამჟამად საჭიროა არა მხედველი გამბედაობა, — თქვა მან, — არამედ საღი აზრის გამბედაობა. თავისი ქვეყნის სახელით პოლონელმა დელეგატმა მტკიცე პროტესტი განაცხადა დიდ სიმაღლეზე ატომური აფეთქების წინააღმდეგ, რომელიც განახორციელეს შეერთებულმა შტატებმა.

ომისშემდგომ ევროპაში პოლიტიკური და სამართლებრივი ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ აღიკვეთოს ომის საფრთხე, რასაც იწვევს დასავლეთ გერმანიის მილიტარიზაცია, თქვა პოლონელთის დელეგატმა, შეიძლება დიდი როლი შეასრულოს და კიდევაც უნდა შეასრულოს საბავო ხელშეკრულებამ ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან.

ტრიბუნაზეა გმირი კუბის წარმომადგენელი, ჰავანის უნივერსიტეტის რექტორი დოქტორი **ხუან მარინელლო.**

კუბის დელეგაცია, განაცხადა მან, გულმხურვალედ იზიარებს ამ კონგრესის მიზნებსა და ამოცანებს.

— კუბელებს, — ამბობს ორატორი, — ეკვი არ ეპარებათ, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის მისაღწევად ყველაზე სწორი გზაა საყოველთაო განიარაღება და კონტროლი განიარაღებისადმი. შეეკითხოთ გამალებული შეიარაღება — იმას ნიშნავს, რომ სამხედრო ხარჯების ტვირთისაგან გავათავისუფლოთ ხალხები. გზა განიარაღებისაკენ ძნელია, მაგრამ აუცილებელია, და ჩვენ მტკიცედ გვწამს მისი წარმატება.

ხალხთა დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის ბრძოლა, განაგრძობს ორატორი, პირველი რიგის წვლილია მშვიდობის საქმეში. თავიანთ დამოუკიდებლობას რომ იცავენ, ხალხები ამით მშვიდობისათვის იბრძვიან.

კუბის დელეგატი მხურვალე მადლობას უძღვნის საბჭოთა მთავრობასა და ხალხს კონგრესის მოწყობაში გაწეული დახმარებისათვის. ეს, თქვა ორატორმა, ჩინეთად ადასტურებს მშვიდობის პოლიტიკას, რომელსაც ყოველთვის ახორციელებს საბჭოთა კავშირი.

— მას შემდეგ, რაც გერმანიის მიწაწყალზე გაჩაღდა ორი მსოფლიო ომი, არც ერთ ხალხს არა აქვს უფრო მეტი ისტორიული, მორალური და იურიდიული მოგალეობა, ვიდრე გერმანელ ხალხს. ყოველი ღონე იხმაროს ომისათვის, რომ ხელი შეუშალოს მესამე ომს, — განაცხადა გერმანიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა **ვერნერ ჰარტკემ.** ამ საკმეში, ხაზგასმით აღნიშნა მან, ერთსულოვანია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 17 მილიონი მოქალაქე, აგრეთვე მრავალი მილიონი ადამიანი დასავლეთ გერმანიაში.

ვერნერ ჰარტკემ წაიკითხა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვალტერ ულბრიხტის წერილი საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის მონაწილეებისადმი. წერილში გამოცხადებულია რწმენა, რომ კონგრესს გადაწყვეტილებანი ხელს შეუწყობენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლის გაძლიერებას.

მინდა პირობა მივცე კონგრესის მონაწილეებს, ნათქვამია წერილში, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ყოველ-მხრივ ეცდება, ხელი შეუწყოს ამ ფორუმის ნაყოფიერ მუშაობას. ჩვენ ვფიქრობთ, ეს ფორუმი ხელს შეუწყობს ევროპაში ომის საფრთხის ალაგმვას, ეს ფორუმი ხელს შეუწყობს ევროპაში ეროვნული სუვერენიტეტების ურღვევობის, ეროვნული ტერიტორიების ხელუხლებლობის, ეროვნული ინტერესების ურღვევობის, ეროვნული ინტერესების ურღვევობის, ეროვნული ინტერესების ურღვევ

კულტურა და ხელოვნება

მარჯანიშვილის თეატრი—მოსკოვში

„რომეო და ჯულიეტას“ დიდი წარმატება

მოსკოვი, 10 ივლისი. (საქდესის სპეც. კორ.). მოსკოვის ერმოლოვას სახელობის თეატრის რეჟისორმა რსფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. შატრინმა მაღალი შეფასება მიხცა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლს „რომეო და ჯულიეტას“. მან თქვა, რომ მარჯანიშვილის თეატრი აქტიორის თეატრია. იგი ცნობილია თავისი ემოციურობით. მსახიობმა მ. ჯაფარიძემ მშვენივრად ითამაშა ჯულიეტა. ო. კობერიძე — რომეო თეატრის დიდი მონაპოვარია. იგი მთლად სიმართლეა. მისი გულწრფელობა, დიდი ტემპერამენტი, იდეალური გარეგნობა, ზომიერების გრძნობა მას რომეოს შემსრულებელი საბჭოთა მსახიობების პირველ რიგებში აყენებს.

ძლიერნი იყვნენ მსახიობები ტ. საყვარელიძე (კაპულეტი), გ. ლეჟავა (ძიძა), პ. ინწკირველი (პრინცი), ზ. ლაფერაძე (ლორენცო). მინდა ვთქვა სხვა მსახიობების შესახებაც: ძალიან კოლორიტული და თავისებურია ტიბალტი — ა. ვერულეიშვილი, წრფელი და მომხიბვლელია ბენვოლიო — ა. კობალაძე, ჭაბუკურად მგზნებარეა და დარდიმანდი მერკუციო — გ. ციცქიშვილი. დიდი შინაგანი ძალა და თავშეკავებაა ლ. ცხვარიაშვილის პარისში.

კომპოზიტორმა ა. კერესელიძემ შექმნა ღრმა შინაარსიანი მუსიკა. ორიგინალურია გ. დავითაშვილის ცეკვები, დ. თაყაიშვილისა და მ. ნასიძის დეკორაციები.

თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის დოცენტმა ვ. მიულერმა დადებითად შეაფასა მხატვრების დ. თაყაიშვილისა და მ. ნასიძის ნამუშევარი. სპექტაკლი, თქვა მან, ნიჭიერად დადგამს რეჟისორ ვ. ტაბლიაშვილს. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე რომეოსა და ჯულიეტას ჯვარისწერის სცენამ.

ახალგაზრდული პრემიერა

მოსკოვი, 10 ივლისი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს მოსკოვში გასტროლებზე მყოფმა მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა უჩვენა ბერძენი დრამატურგის ნ. პერიალისის „ბაფთიანი გოგონა“. სპექტაკლმა ცხადყო სახელოვანი კოლექტივის ახალგაზრდობის შემოქმედებითი ზრდა.

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია ა. ქუთათელაძე, მხატვარი — ო. ლითანიშვილი, კომპოზიტორი — მ. დავითაშვილი, ქორეოგრაფი — გ. დავითაშვილი.

როლების შემსრულებელნი: ს. ჭიაურელი, გ. ციცქიშვილი, გ. გოცირელი, გ. ტატიშვილი, ნ. მიქელაძე, ლ. შოთაძე, კ. თოლორაია, გ. გოგუა და სხვა.

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

სცენაზე არიან ნორჩები

აბარის ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის საბალეტო სტუდიამ ამ დღეებში ბათუმელ მაყურებელს უჩვენა საანგარიშო სპექტაკლი „წითელქუდა“ (ორმოქმედებიანი ბალეტი შარლ პეროს ამავე სახელწოდების ზღაპრის მიხედვით).

ლიბრეტოს ავტორი და სპექტაკლის დამდგმელია ბალეტმეისტერი მ. ტრიგუბი, კონცერტმეისტერი — ს. კონფინა, მხატვრობა ეკუთვნის გ. ჩეკურდას.

კარგად შეასრულეს როლები საბალეტო სტუდიის აღსაზრდელებმა სვეტა ჩაჩაკოვამ, ლიდა კოლიუფნოვამ, ალიკ გოლოგორსკიმ, ირა ჭანტურიამ, ნადია გურჯანმა, გიული გვარიშვილმა, რესიკო მელიამ, ირინე ტუღუშმა და სხვ.

ნორჩების მიერ დადგმულ ბალეტ „წითელქუდას“ დიდძალი მაყურებელი დაესწრო.

რ. გორგიშვილი.

ქომეუნისტი — სპორტი

სსრ კავშირის თასზე

„ტორპედო“ — მეოთხედფინალში

„ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) — 2:0 (0:0). მოსკოვი. 11 ივლისი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი კ. ანძიულისი (ლუნასი).

„ტორპედო“ — გლუხოტკო, მიდაკინი, შუსტიკოვი, ოსტროსკი, დმიტრიევი, მანოშინი, მეტრეველი, დენისოვი, გუსაროვი, ბატანოვი, სერგეევი; „დინამო“ — კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხერცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, ხოკოლავა, მელაშვილი (დათუნაშვილი), გ. სიჭინავა, კალეევი, ბარქაია, მესხი.

საკავშირო პირველობაზე თბილისის „დინამოს“ უკანასკნელმა ორმა მატჩმა მოსკოვში დედაქალაქის „ტორპედოსთან“ და „დინამოსთან“ საერთო აღიარება ჰპოვა. თბილისელებმა განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარეს ბრძოლა „ტორპედოსთან“ და დაამარცხეს იგი 3:1. ამტომ მოსკოველები შეუფლებელი ინტერეესით მოელოდნენ ამ კოლექტივების მეორე შეხვედრას, ამჯერად სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვედფინალში.

პირველი ტაიმი ხასიათდებოდა ორმხრივი იერიშებით, მაგრამ მოწინააღმდეგეებს გოლი არ გაუტანიათ, თუმცა ამის შესაძლებლობა მათ არაერთხელ ჰქონდათ. მაგალითად მე-10 და მე-11 წუთებზე ხელსაყრელი მომენტები ფერ გამოიყენეს ბარქაიამ და ზეინკლიშვილმა, მე-17 წუთზე კი კოტრიკაძემ აბკარა გოლს გადაარჩინა თავისი გუნდი. 25-ე წუთზე გლუხოტკო თავგანწირული ნახტომით ძლივს ძიწვდა მესხის დარტყმულ ბურთს.

მეორე ტაიმში ბრძოლას სულ სხვა ხასიათი ჰქონდა. აქ იგრძნობოდა მასპინძელთა უპირატესობა, აძასთანავე არც თუ იშვიათად სცოდავდნენ „დინამოს“ მცველები. მაყურებელთა საერთო მოწონება დაიმსახურა მეკარე კოტრიკაძემ, რომელმაც შეიძლება ითქვას თითქმის აუდებელი ბურთები მოიგერია.

ზიუნდადად ამაია დინამოელები გოლს მაინც ვერ გადაურჩნენ. ეს მოხდა მე-15 წუთზე. ერთ-ერთი კარგად მოფიქრებული იერიშის დროს მოულოდნელად წინ გაიჭრა დენისოვი და შეუჩერებელი დარტყმით ბურთი მეტოქის კარში გაგზავნა, კოტრიკაძემ მოიგერია იგი, ამას მოაყვა სერგეევის მეორე დარტყმა, ბურთი აცდა კარს, მაგრამ მას მიუსწრო მეტრეველმა და თავური დარტყმით თითქმის ღია კარში გაიტანა იგი.

წარუმატებლობამ „დინამოს“ მცველთა რიგებში ეჭვიანობა ჩამოაყალიბა. ბარქაია „ტორპედოს“ კოტრიკაძე ბ. სიჭინავამ ფერ ... ტორპედოელები. არ ... კოტრიკაძე ბ. სიჭინავამ ... ბაში, მან განაცვიფრა მოსკოველები.

33-ე წუთზე როდესაც კოტრიკაძემ ორჯერ ზედიზედ მოიგერია ბურთი და მეტიც აღარ შეიძლებოდა, იქვე აღმოჩნდა დენისოვი და მეორე გოლი გაიტანა.

დინამოელთა კონტრთამაშს შედეგი არ მოჰყოლია, ტორპედოელები დაცვაზე გადავიდნენ და ანგარიში 2:0 თავიანთ სასარგებლოდ მსაჯის საფინალო სასტვენის ხმამდე შეინარჩუნეს.

მოსკოვის „ტორპედო“ მეოთხედფინალში გავიდა, სადაც იგი შეხვდება თასის მფლობელს დონეცკის „შახტიორს“.

... ორი მატჩი უნგრელ წყალბურთელებთან

პირველი შეხვედრა თბილისში უნგრელებს ჰქონდათ სსრ კავშირის ხაკრებთან 10 ივლისს ფიზკულტურის პარკის საცურავ აუზში.

თამაშმა ძლაფრი ხასიათი მიიღო. საბჭოთა ნაკრების წყალბურთელები მოქმედებდნენ აგრესიულად და ანგარიშიც მათ გახსნეს. სტუდართა კონტრთამაშს მალე საპასუხო გოლი მოჰყვა.

ანგარიში 1:1 მეოთხე პერიოდამდე დარჩა, მაგრამ ბოლო წუთებში კარტაშოვმა შეძლო გადამწყვეტი ბურთის გატანა. გაიმარჯვეს საბჭოთა წყალბურთელებმა ანგარიშით 2:1.

გუშინ უნგრეთის წყალბურთელთა ნაკრების წინააღმდეგ თამაშობდა საქართველოს გუნდი.

ქართველმა წყალბურთელებმა კარგად იცოდნენ, თუ როგორ ძლიერ მეტოქესთან ჰქონდათ საქმე, ამიტომ მათ ბრძოლა მოწინააღმდეგის დაზვერვით დაიწყეს, შემდეგ კი უნგრელი წყალბურთელები ტემპიან თამაშში გამოიწვიეს, რომელიც პირველივე პერიოდში გოლით დაგვიგვანდა. მისი ავტორი იყო გუნდის კაპიტანი გ. ჩიქვანაია.

ამის შემდეგ თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. და მხოლოდ მესამე პერიოდში უნგრელმა ჩილო გაბორმა გაათანაბრა ანგარიში 1:1. ბრძოლა უფრო გამწვავდა, ქართველ წყალბურთელთა იერიშს იერიშს მოჰყვა და გ. ჩიქვანაიას ბრწყინვალედ ნატყორცხმა ბურთმა გადაწყვიტა მატჩის ბედი.

საქართველოს ნაკრებმა გაიმარჯვა ანგარიშით 2:1.

... ბოლო ... ფინალისტი

... ბოლო ... ფინალისტი — ... ბ“ კლასის ... ფინალისტ ... ერევნის „სპარტაკი“, ... ან „ბ“ კლასის ... ერევნის სპარტაკმა ... ანგარიშით — 5:0 ... ბურუბიშვილის „კრილია სოვეტოვი“ ... ფინალში გაიკეთეს ... ბოლოსდფინალში ... ბოლოდ ... ფინალისა ... ბოლოდ ... ფინალ ... ბ“ ... ...